ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222833**
თარიღი: **10/10/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მაკა მშვიდობაძის მოსახლეობასთან შეხვედრის და 2022 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ქვიანი)

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 07.10.2022 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მაკა მშვიდობაძე გოჩა ჯანაშია და ჯუმბერ ბლაგიძე.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს წევრი **მაკა მშვიდობაძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. საკრებულოს წევრმა მაკა მშვიდობაძემ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2021წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 10 ოქტომბრამდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „საქართველოსთვის“-ს პარტიული სიით გახდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“-ს თავმჯდომარედ. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 14, ფრაქციის 11 სხდომაში. ის, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. სხდომებზე მის მიერ დაყენებული იქნა პრობლემური საკითხები, ესენია: მაწანწალა ძაღლების საკითხი, ასევე პრობლემურია ქალაქის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, რომელიც არის მთლიანად შესაცვლელი. ეს პრობლემა დღესაც მოუგვარებელია. საკრებულოს წევრმა **მაკა მშვიდობაძემ** მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების

შესახებ. შეხვედრა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

- ვახტანგ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ აღმაშენებლის ქუჩაზე აუცილებელია სანიაღვრე არხის გაყვანა.

- ირინა ნარსიას უბანი ითხოვს სანიაღვრე არხის მოწყობას.

- რკინიგზის ბაქანთან იტბორება ოჯახები წყალს არ აქვს გასასვლელი, ასევე სოფლის მოსახლეობამ მოითხოვა რკინიგზის სადგურის ბაქანის მოწესრიგება

- მაკა მშვიდობაძის მოთხოვნაა საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოწესრიგება.

- სოფ. ქვიანის მოსახლეობის მოთხოვნაა ადილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდეს დახმარება სოფლისთვის სასაფლაოს ტერიტორიის გამოყოფაზე (არსებულ სასაფლაოზე არ არის ადგილი).

პატივისცემით,

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე